



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -  
 ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
 აკადემიური საბჭო

დადგენილება №30

ქ. ბათუმი

23 თებერვალი, 2018 წ.

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. დამტკიცდეს თანდართული „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (დანართი 1).
2. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი: „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული მოდულური პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 29 ივლისის N86 დადგენილება და „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 26 სექტემბრის №118 დადგენილება.
3. დადგენილება გავრცელდეს 2017-2018 წლის გაზაფხულის სემესტრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.
4. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურს.
5. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,  
 რექტორი, ასოც. პროფესორი

ქ.



ნერაზ ხალვაში

დანართი 1.

კოდიფიცირებული -  
(ცვლილება შევიდა ბსუ-ს აკადემიური საბჭოს  
2018 წლის 20 ივლისის N77 დადგენილებით)

## ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში „ბსუ“) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (შემდეგში „პროგრამა“) შემუშავების, განხორციელების, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა პროცედურებს.

(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 ივლისის N77 დადგენილებით)

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია პრაქტიკული ცოდნისა და უნარების გამომუშავებაზე და სრულდება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებით. პროგრამა აერთიანებს პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო სასწავლო კურსებს/მოდულებს. პროგრამით განისაზღვრება პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის დატვირთვა კრედიტებში, სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმები.

3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლება მიმდინარეობს პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და დარგობრივი პროფესიული სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად შედგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად. პროგრამების შემუშავება და წარმართვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესის შესაბამისად.

4. ბსუ-ს პროფესიულ სტუდენტზე და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პერსონალზე ვრცელდება ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დადგენილი რეგულაციები და სერვისები (ეთიკის კოდექსი, შინაგანაწესი, საქმისწარმოების ინსტრუქცია და სხვა), თუკი წინამდებარე წესით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

### მუხლი 2. პროგრამის შემუშავება და მისი განმახორციელებელი პერსონალი

1. პროგრამა შემუშავდება ფაკულტეტის მიერ და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვიზირებით დასამტკიცებლად წარედგინება ბსუ-ს აკადემიურ საბჭოს.

2. პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს პროფესიული პროგრამის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირი. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია პროგრამას ჰყავდეს თანახელმძღვანელი, მათ შორის, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტი.

3. პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს:

ა) პროგრამის შემუშავებას, საჭიროების შემთხვევაში კი, მოდიფიცირებას;

ბ) პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ ინფორმაციის დამუშავებას და მათი მოწვევის/კონკურსის პროცედურების შესაბამისი ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით წარმართვას;

გ) პროფესიული პროგრამებზე სასწავლო პროცესის წინამდებარე წესის შესაბამისად წარმართვას;

დ) პროგრამის განხორციელების შესახებ ანგარიშის ფაკულტეტის საბჭოსთვის წარდგენას.

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო ან პრაქტიკულ კურსს წარმართავს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი (შემდეგში „პროფესიული განათლების მასწავლებელი“), რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება. იგი უძღვება თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს. IV საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელ პროფესიული განათლების მასწავლებელს უფლება არ აქვს, ასწავლოს V საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. შესაბამისი პროფესიული სტანდარტით შეიძლება დადგინდეს დამატებითი მოთხოვნები.

5. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს 20 (ოცი) პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

6. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტების შესაბამისად (კონკურსით ან კონკურსის გარეშე).

7. პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოწვევის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის მიხედვით შესაბამის პირებთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულებები (გარდა ბსუ-ს აკადემიური პერსონალისა ან იმ პირებისა, რომლებიც ბსუ-ში მოწვეულნი არიან სხვა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის წარმართვის მიზნით).

### **მუხლი 3. პროგრამის სტრუქტურა, მეთოდოლოგია და ხარისხის შეფასების მექანიზმები**

1. პროგრამა შედგება თავფურცელის, აღწერილობისა და დანართებისაგან.

2. პროგრამის თავფურცელი მოიცავს: *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 ივლისის N77 დადგენილებით)*

ა) პროგრამის სახელწოდებას;

ბ) პროგრამის დამტკიცების შესახებ სამართლებრივი აქტის თარიღს და ნომერს;

გ) უნივერსიტეტის და ფაკულტეტის დასახელებას;

დ) პროგრამის ხელმძღვანელის ვინაობას და საკონტაქტო ინფორმაციას.

3. პროგრამის აღწერილობაში აისახება:

ა) პროგრამის სახელწოდება;

ბ) ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროფესიული პროგრამა *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 ივლისის N77 დადგენილებით)*;

გ) *(ამოღებულია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 ივლისის N77 დადგენილებით)*;

დ) მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია;

ე) საკანონმდებლო ბაზა;

ვ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;

ზ) კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები;

თ) პროგრამის მიზანი;

ი) სწავლის შედეგები;

კ) პროგრამის მოცულობა;

ლ) პროგრამის ხანგრძლივობა;

მ) პროგრამის სტრუქტურა და მოდულები;

ნ) პროფესიულის სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება; ო) პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება;

პ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფა;

ჟ) უცხოენოვანი სტუდენტებისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების ქართული ენის მოდულით/მოდულებით დაწყება;

რ) პროგრამის დანართების ჩამონათვალი, რომლებიც თან ერთვის (სასწავლო გეგმა; ქართული ენის მოდულების სასწავლო გეგმა უცხოენოვან სტუდენტებისთვის; პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი; მოდულები - სხვა დანართების სახით).

*(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 ივლისის N77 დადგენილებით).*

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს თეორიულ სწავლებას, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას და სრულდება პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურის კვალიფიკაციის დამადასტურებელი პროფესიული დიპლომის გაცემით.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების შეფარდება განისაზღვრება პროფესიული სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

6. პროგრამის სწავლა/სწავლების მეთოდოლოგია გაწერილია პროგრამის მოდულებში („მოდულის განხორციელების მიდგომები“, „სწავლებისა და შეფასების ორგანიზებისათვის“). *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 ივლისის N77 დადგენილებით).*

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის დატვირთვა გამოიხატება კრედიტებში, საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესის შესაბამისად. ერთი კრედიტი ასახავს პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობას 25-30 ასტრონომიული საათის განმავლობაში. კრედიტის მისაღებად პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა თეორიის კომპონენტის ფარგლებში უნდა მოიცავდეს ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას, დამოუკიდებელ მეცადინეობასა და გამოცდების მომზადება-ჩაბარებას, ხოლო პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში – პრაქტიკულ მეცადინეობასა და შეფასებას.

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, კრედიტების განაწილების, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (დატვირთვის) და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტით ან/და მოდულით.

9. ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად და პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით ბსუ- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს მექანიზმს (სხვადასხვა კითხვარების ფორმები, ჩატარების პროცედურები და ვადები) და წარუდგენს დასამტკიცებლად ბსუ-ს რექტორს.

#### **მუხლი 4. პროგრამაზე მიღების პროცედურა**

1. ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება ცხადდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, პროფესიული სტუდენტების მისაღები კონტიგენტის ფარგლებში. ბრძანებაში აისახება:

- ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება და საფეხური;
- ბ) ჩარიცხვის პირობები და მისაღები კონტინგენტი;
- გ) წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა;
- დ) დოკუმენტების წარმოდგენის ვადა და ადგილი (ფორმა)

2. ყველა მსურველს უფლება აქვს, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, მიიღოს პროფესიული განათლება პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესაძენად.

3. პროფესიულ სტუდენტად შეიძლება ჩაირიცხოს პირი „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე ჩარიცხვისათვის ტესტირება ტარდება წელიწადში ორჯერ – გაზაფხულზე და შემოდგომაზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული განრიგის შესაბამისად.

5. ბსუ-ს მიერ ორგანიზებული ტესტირება ტარდება ბსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე.

6. სსიპ - გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების შედეგების საფუძველზე გამოვლინდებიან ის აპლიკანტები, რომლებიც მოიპოვებენ სწავლის უფლებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე, ხოლო ბსუ-ს მიერ ორგანიზებული ტესტირების შედეგების საფუძველზე გამოვლინდებიან ის აპლიკანტები, რომლებიც მოიპოვებენ სწავლის უფლებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ საფეხურზე.

#### **მუხლი 5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება**

1. ბსუ-ს პროფესიულ სტუდენტად მიიჩნევა პირი, რომელიც „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ჩაირიცხა და სწავლობს ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ საფეხურზე პირის (რომელიც ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების შედეგად ჩაირიცხა პირველად საფეხურზე და დაასრულა სწავლა) ჩარიცხვა ხდება დოკუმენტების განხილვისა და დაშვების წინაპირობებთან მისი შესაბამისობის განსაზღვრის საფუძველზე.

3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების აუცილებელი პირობაა მასთან ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის მიხედვით საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების გაფორმება, რომლის ერთი ეგზემპლარი გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს, ხოლო მეორე ეგზემპლარი ინახება პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში.

4. პროფესიული სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე გამოიცემა ამ პირთა ბსუ-ს შესაბამის პროფესიულ პროგრამაზე

ჩარიცხვის შესახებ და ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მართვის საინფორმაციო სისტემაში.

### **მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა**

1. პროფესიული სტუდენტის შეფასების სახეებია: განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე, ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
  - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
  - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე (წინაპირობის არარსებობის შემთხვევაში).
5. პროფესიული სტუდენტის მიერ მოდულის წინმსწრები მოდულის შედეგის „ვერ დადასტურების“ შემთხვევაში ბსუ უფლებამოსილია, რექტორის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ერთი კვირით გადაავადოს მომდევნო მოდულის სწავლების დაწყება, სასწავლო პროცესის სხვა მოდულის საათებით დარეგულირების ხარჯზე.
6. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

### **მუხლი 7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება/აღდგენა**

1. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია, სწავლების დაწყებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში განცხადებით მიმართოს ბსუ-ს ადმინისტრაციას და მოითხოვოს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძველის გარდა პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველებია:
  - ა) ავადმყოფობა;
  - ბ) უცხო ქვეყანაში სასწავლებლად წასვლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;
  - გ) ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელიობა (თვითდაფინანსების შემთხვევაში სწავლის საფასურის გადაუხდელობა);
  - დ) საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს წესდებითა და სხვა აქტებით განსაზღვრული შემთხვევები.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე პროფესიული სტატუსის შეჩერების თაობაზე წერილობითი განცხადებით პროფესიულმა სტუდენტმა უნდა მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს. *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 ივლისის N77 დადგენილებით).*
4. ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემთხვევაში ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესიდან გამონაკლისი შესაძლოა დადგინდეს რექტორის ბრძანებით, წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე.
5. ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბსუ-ს

რექტორის ბრძანების ძალადაკარგულად ცნობისა და სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართვის შესახებ სამართლებრივი აქტის გამოცემა ხდება იმ გარემოებათა აღმოფხვრის შედეგად, რაც საფუძვლად დაედო სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანების გამოცემას, მაგრამ არაუგვიანეს სწავლის დაწყებიდან 15 დღისა.

### **მუხლი 8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა**

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) შესაბამისი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

ბ) პირადი განცხადება ან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობით გადასვლა;

გ) გარდაცვალება;

დ) ბსუ-ს შინაგანაწესითა და ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევა;

2. შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე გამოიცემა პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება, რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მართვის საინფორმაციო სისტემაში.

3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის ხელახლა მოპოვება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### **მუხლი 9. პროფესიული სტუდენტის მობილობა და მიღებული განათლების აღიარება**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განსაზღვრული კონტიგენტის ფარგლებში (თავისუფალი ადგილების შემთხვევაში) ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე მობილობა ცხადდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.

2. მობილობის ფარგლებში პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია შეიცვალოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

3. პირი, რომელიც მოიპოვებს მობილობით ჩარიცხვის უფლებას, ვალდებულია ბსუ-ს წარუდგინოს ბსუ-ს რექტორის ბრძანების განსაზღვრული დოკუმენტაცია (მისი პირადი საქმისა და საგანმანათლებლო დოკუმენტების ასლები).

4. ბსუ ახდენს მობილობის მსურველის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის აღიარებას და მობილობის მსურველის თანხმობის შემთხვევაში, განსაზღვრავს სწავლების ეტაპს.

5. მობილობის დროს ბსუ ახდენს მობილობის მსურველის მიერ წინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ათვისებული კრედიტების აღიარებას იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება შესაბამისი სასწავლო დისციპლინების სწავლის შედეგების შესაბამისობა/თავსებადობა ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

6. აღიარებას ექვემდებარება ამავე ან უფრო მაღალი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები.

7. კრედიტების აღიარებისათვის მობილობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, მის მიერ გავლილი კრედიტების თაობაზე.

8. პროფესიული სტუდენტის მიერ უნივერსიტეტთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, გამოიცემა რექტორის ბრძანება, მობილობის საფუძველზე პროფესიული სტუდენტების ბსუ-ში ჩარიცხვის შესახებ.

9. პროფესიული სტუდენტების მობილობის პროცესის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს სასწავლო პროცესის დეპარტამენტი (პროფესიული პროგრამების მართვის სამსახური).

10. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შემუშავებაში.

11. პროფესიული სტუდენტის მიერ საქართველოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარება ბსუ-ში ხორციელდება სასწავლო პროცესის დეპარტამენტისა (პროფესიული პროგრამების მართვის სამსახურის) და შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ადმინისტრირებით, სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების პროფესიულ სტანდარტთან და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან შესაბამისობის/თავსებადობის დადგენის გზით.

12. თუკი პროგრამით გათვალისწინებული და უკვე ათვისებული სასწავლო კომპონენტის სახელწოდება განსხვავდება დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის სახელწოდებისაგან, უნივერსიტეტს სრული უფლება აქვს მოითხოვოს ამ სასწავლო კომპონენტის სილაბუსი, შეისწავლოს იგი და თუ შინაარსობრივად კომპონენტები ემთხვევა, ის შეიძლება იქნას აღიარებული დაწესებულების მიერ.

13. თუკი გავლილი დისციპლინის კრედიტების რაოდენობა ემთხვევა დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო დისციპლინის კრედიტებს, მისი აღიარება ხდება ავტომატურად.

14. თუკი გავლილი სასწავლო დისციპლინის კრედიტები აღემატება ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დისციპლინის კრედიტების რაოდენობას და ეს სხვაობა დიდია, სტუდენტს უღიარდება კრედიტების ის რაოდენობა, რომელიც გათვალისწინებულია ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით.

15. თუ გავლილი სასწავლო დისციპლინის კრედიტები ნაკლებია ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დისციპლინის კრედიტების რაოდენობაზე, და ეს სხვაობა დიდია, სტუდენტს უღიარდება კრედიტების ის რაოდენობა, რომელიც გათვალისწინებულია იმ სასწავლო დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით, საიდანაც ხდება მობილობა.

#### **მუხლი 10. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა**

1. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, ბსუ ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტს შემდგომი განათლების მიღებაში. იგი უფლებამოსილია გადავიდეს მსგავსი მიმართულების სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე (არსებობის შემთხვევაში) ან გადავიდეს სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

2. პროფესიული პროგრამის შეცვლის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისობის განსაზღვრას არსებული პროგრამის ფარგლებში გავლილი და ახალი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო დისციპლინებს შორის, ასევე საჭიროების შემთხვევაში, იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტისათვის ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის განსაზღვრის შესახებ. შეცვლილი საგანმანათლებლო პროგრამისათვის პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

#### **მუხლი 11. კვალიფიკაციის მინიჭება და პროფესიული დიპლომის გაცემა**

1. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა



სრულად უნდა შეასრულოს შესაბამისი პროგრამის მოთხოვნები (დააგროვოს შესაბამისი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები).

2. გადაწყვეტილებას კურსდამთავრებულისათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ იღებს ფაკულტეტის საბჭო, რის საფუძველზეც, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ბსუ-ს რექტორი გამოსცემს ბრძანებას პროფესიული დიპლომის შესაბამისი დანართით გაცემის თაობაზე.

### **მუხლი 12. პროფესიული სტუდენტის საქმისწარმოების მასალები**

1. პროფესიული სტუდენტის პირადი საქმის წარმოება ხორციელდება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ოფისის სპეციალისტის მიერ, ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციისა და წინამდებარე წესის მოთხოვნათა დაცვით.

2. სტუდენტის სწავლის შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია/მასალა ინახება:

ა) საგამოცდო დავალება, პროექტი და სხვა - შესაბამისი ფაკულტეტის დარგობრივ დეპარტამენტში, სტუდენტისათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებიდან 1 თვის განმავლობაში, ხოლო შემდეგ კი, ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) გამოცდების, გამოცდების ჩატარების შესახებ ანგარიშები და შეფასებათა უწყისები - შესაბამისი ფაკულტეტის დარგობრივ დეპარტამენტში, პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ გადაეცემა ბსუ-ს კანცელარიას (ბსუ-ს არქივში 25 წლის ვადით შენახვის მიზნით). *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 ივლისის N77 დადგენილებით).*

### **მუხლი 13. ცვლილებები და დამატებები**

წინამდებარე წესში ცვლილების და დამატების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით, აკადემიური საბჭოს მიერ.